



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 1 „12“ 02 20196

დადგენილება № 2

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო
 პროგრამებში, ქართული ფილოლოგიის პროგრამაში და მასწავლებლის მომზადების
 ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში (300
 კრედიტიანი) ცვლილებების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/6 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად:

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის:
 - 1.1 ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში და:
 - ა) საგანი: „ეკონომიკური პოლიტიკა“ შეთავაზებული იქნეს ორ სემესტრად, „ეკონომიკური პოლიტიკა 1“ მე-7 სემესტრში და „ეკონომიკური პოლიტიკა 2“ მე-8 სემესტრში, თავისუფალი არჩევითი კრედიტის ნაცვლად;
 - ბ) საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი სავალდებულო კომპონენტი) გახდეს არჩევითი, ალტერნატივად შეთავაზებული იქნეს არჩევითი საგანი „საქართველოს ეკონომიკა“ 10 კრედიტის მოცულობით.
 - 1.2 ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში და მე-4 კურსზე სპეციალობის არჩევით საგანთა ნუსხას დაემატოს საგანი; „21-ე საუკუნის ქართული მწერლობა“
 - 1.3 დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში (300 კრედიტიანი) და:
 - ა) სასწავლო კურსის „პრაქტიკა 1-ის“ წინაპირობა ჩამოყალიბდეს წინაპირობის გარეშე;
 - ბ) სასწავლო კურსი „პროფესიული სასწავლო გარემო“ არჩევითი კურსებიდან გადავიდეს ძირითად ბლოკში;
 - გ) სასწავლო კურსი „კლასის მართვა და კომუნიკაცია“ არჩევითი კურსებიდან გადავიდეს ძირითად ბლოკში.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ჩაბარდეს ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტს და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებს.
4. საფუძველი: ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 10 დეკემბრის N11/02 დადგენილება; განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2019 წლის 12 თებერვლის N02/03 და 02/08 გადაწყვეტილებები.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მაკა ბერიძე